# სს “გალტ ენდ თაგარტი”

## ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის*
*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

# შინაარსი

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა** 3-4

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 6
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 8

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ძირითადი საქმიანობა 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება 18
5. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება 20
6. საინვესტიციო ქონება 21
7. არამატერიალური აქტივები 21
8. ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში 22
9. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 23
10. ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში 23
11. ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება / ზარალში 24
12. გაცემული სესხები 24
13. წინასწარ გადახდილი თანხები 24
14. დებიტორული დავალიანება 25
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 25
16. კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები 25
17. სააქციო კაპიტალი 26
18. გადავადებული შემოსავალი 26
19. მიღებული სესხები 26
20. კრედიტორული დავალიანება 27
21. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები 27
22. შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან 27
23. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 28
24. წმინდა მოგება / (ზარალი) ფინანსური აქტივებიდან რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში 28
25. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები 28
26. წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან 28
27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 29
28. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ 30
29. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება გალტ ენდ თაგარტის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

*მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება გალტ ენდ თაგარტის (შემდგომში „კომპანია") ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება"), რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

*მოსაზრების საფუძველი*

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე".

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

*ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ნექსია თიეის“ სახელით
გელა მღებრიშვილი

27 მარტი, 2020
თბილისი, საქართველო

სს "გალტ ენდ თაგარტი"
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

| აქტივები | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება | 5 | 377,305 | 289,313 |
| საინვესტიციო ქონება | 6 | 1,505,000 | 1,362,000 |
| არამატერიალური აქტივები | 7 | 512,614 | 429,954 |
| ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში | 8 | 1,081,000 | 1,022,000 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში | 9 | 1,261,928 | 928,592 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | 10 | 578,160 | 535,320 |
| გაცემული სესხები | 12 | 473,014 | - |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **5,789,021** | **4,567,179** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში | 11 | 7,172,577 | 4,476,798 |
| გაცემული სესხები | 12 | - | 8,472,468 |
| წინასწარ გადახდილი თანხები | 13 | 1,045,692 | 740,128 |
| დებიტორული დავალიანება | 14 | 1,086,440 | 574,396 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 15 | 1,110,801 | 529,987 |
| კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები | 16 | 30,118,737 | 14,884,880 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **40,534,247** | **29,678,657** |
| **სულ აქტივები** | | **46,323,268** | **34,245,836** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 17 | 6,136,137 | 10,764,236 |
| საემისიო კაპიტალი | 17 | 21,587,636 | 24,959,537 |
| დაგროვებული ზარალი | | (14,448,284) | (17,043,560) |
| სხვა რეზერვები | 10 | (1,499,771) | (1,601,611) |
| **სულ კაპიტალი** | | **11,775,718** | **17,078,602** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| გრძელვადიანი სესხები | 19 | 723,874 | - |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **723,874** | **-** |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| კრედიტორული დავალიანება | 20 | 1,833,616 | 1,321,608 |
| ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 16 | 30,118,737 | 14,884,880 |
| გადავადებული შემოსავალი | 18 | 59,976 | 282,965 |
| მოკლევადიანი სესხები | 19 | 1,690,461 | 674,618 |
| ვალდებულებები იჯარიდან | 5 | 120,886 | - |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | | - | 3,163 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **33,823,676** | **17,167,234** |
| **სულ ვალდებულებები** | | **34,547,550** | **17,167,234** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **46,323,268** | **34,245,836** |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 27 მარტს.

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

9-34 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს "გალტ ენდ თაგარტი"
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| საკომისიო შემოსავალი | 21 | 3,646,869 | 2,734,060 |
| საკომისიო ხარჯი | 21 | (2,650,178) | (2,826,990) |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი / (ხარჯი)** | | **996,691** | **(92,930)** |
| შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან | 22 | 4,304,007 | 3,678,500 |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 23 | (4,614,709) | (3,955,573) |
| წმინდა მოგება / (ზარალი) ფინანსური აქტივებიდან რეალური ღირებულებით მოგებასა ან ზარალში | 24 | (365,506) | 44,473 |
| სხვა ხარჯები | | (8,341) | (39,228) |
| **წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) საოპერაციო საქმიანობიდან** | | **312,142** | **(364,758)** |
| საპროცენტო შემოსავალი | 25 | 1,711,358 | 2,502,788 |
| საპროცენტო ხარჯი | 25 | (121,104) | (57,362) |
| გაცემული სესხების გაუფასურების ხარჯი | | - | (460,348) |
| წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან | 26 | 549,880 | 356,265 |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებისას მიღებული სარგებელი | 6 | 143,000 | - |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **2,595,276** | **1,976,585** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წლის წმინდა მოგება** | | **2,595,276** | **1,976,585** |
| ***სხვა სრული შემოსავალი*** | | | |
| ღირებულების ცვლილება არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპნიებში განხორციელებულ ინვესტიციებზე | 8 | 59,000 | (1,601,611) |
| სხვა ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილება, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში | 10 | 42,840 | - |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი) წლის განმავლობაში** | | **101,840** | **(1,601,611)** |
| **სულ მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში** | | **2,697,116** | **374,974** |
| საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე | | 0.44 | 0.03 |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 27 მარტს.

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

9-34 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს "გალტ ენდ თაგარტი"
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

| | საქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | სხვა რეზერვები | დაგროვებული ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2017** | **10,764,236** | **24,959,537** | **-** | **(19,549,284)** | **16,174,489** |
| ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი | - | - | - | 554,139 | **554,139** |
| **1 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)** | **10,764,236** | **24,959,537** | **-** | **(18,995,145)** | **16,728,628** |
| წლის წმინდა მოგება | - | - | - | 1,976,585 | **1,976,585** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | (1,601,611) | - | **(1,601,611)** |
| **სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | **-** | **-** | **(1,601,611)** | **1,976,585** | **374,974** |
| გაცემული დივიდენდები | - | - | - | (25,000) | **(25,000)** |
| **31 დეკემბერი 2018** | **10,764,236** | **24,959,537** | **(1,601,611)** | **(17,043,560)** | **17,078,602** |
| წლის წმინდა მოგება | - | - | - | 2,595,276 | **2,595,276** |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | - | - | 101,840 | - | **101,840** |
| **სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი** | **-** | **-** | **101,840** | **2,595,276** | **2,697,116** |
| გამოსყიდული აქციები (შენიშვნა 17) | (4,628,099) | (3,371,901) | - | - | **(8,000,000)** |
| **31 დეკემბერი 2019** | **6,136,137** | **21,587,636** | **(1,499,771)** | **(14,448,284)** | **11,775,718** |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 27 მარტს.

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

9-34 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს "გალტ ენდ თაგარტი"
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| წლის მოგება დაბეგვრამდე: | | 2,595,276 | 1,976,585 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 5, 7, 23 | 353,160 | 105,370 |
| საინვესტიციო ქონების გადაფასებისას მიღებული სარგებელი | 6 | (143,000) | - |
| გაცემული სესხების გაუფასურების ხარჯი | | - | 460,348 |
| მოგება კურსთაშორის სხვაობიდან | | (549,880) | (356,265) |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა | | - | 3,743 |
| არამატერიალური აქტივების ჩამოწერა | 7 | 4,496 | - |
| საპროცენტო შემოსავალი | 25 | (1,711,358) | (2,502,788) |
| საპროცენტო ხარჯი | 25 | 121,104 | 68,183 |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე** | | **669,798** | **(244,824)** |
| სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივების (ზრდა)/შემცირება | | (2,193,826) | 2,036,961 |
| წინასწარ გადახდილი თანხების ზრდა | | (305,564) | (226,970) |
| დებიტორული დავალიანების შემცირება | | 557,095 | 491,514 |
| კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება) | | 15,337,701 | (12,706,958) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები** | | **14,065,204** | **(10,650,277)** |
| მიღებული პროცენტი | | 1,662,666 | 387,173 |
| გადახდილი პროცენტი | | (59,239) | (69,934) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (3,164) | - |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | | **15,665,467** | **(10,333,038)** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში | 9 | (333,336) | - |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 5 | (115,224) | (84,553) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | 7 | (139,870) | (287,683) |
| სესხების გაცემა | 12 | (418,065) | - |
| გაცემული სესხების მიღება | | 8,188,933 | 226,256 |
| სხვა ფინანსური აქტივების შეძენა | | - | (489,760) |
| სხვა ფინანსური აქტივების გაყიდვა | | - | 126,475 |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები** | | **7,182,438** | **(509,265)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| საკუთარი აქციების გამოსყიდვა | 17 | (8,000,000) | - |
| საბანკო სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები | | 4,462,994 | - |
| საბანკო სესხების დაფარვა | | (2,927,474) | (2,348,819) |
| იჯარის ვალდებულების ძირის გადახდა | | (165,154) | |
| გაცემული დივიდენდები | | - | (25,000) |
| **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **(6,629,634)** | **(2,373,819)** |
| **ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)** | | **16,218,271** | **(13,216,122)** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში** | 15, 16 | **15,414,867** | **28,940,478** |
| კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე | | (403,600) | (309,489) |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 15, 16 | **31,229,538** | **15,414,867** |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 27 მარტს.

გენერალური დირექტორი
ირაკლი კირტავა

მმართველი დირექტორი
ოთარ შარიქაძე

მთავარი ბუღალტერი
ქეთევან ვანიშვილი

9-34 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

# 1. ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი" (შემდგომში - „კომპანია") დაფუძნდა 1995 წლის 19 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია მუშაობს საქართველოში ეროვნული ბანკის („სებ") მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს გაცემული საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის [1] შესაბამისად. 2000-2009 წლებში კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგგარტ სექიურითის", ხოლო 2009-2014 წლებში - „ბიჯი კაპიტალი". 2014 წლის 26 აგვისტოდან კომპანიის სახელია - სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი" (ს/კ 211359206).

კომპანია ახორციელებს საბროკერო, საინვესტიციო-საბანკო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურეობებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს, საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული რესტრუქტურირების პროცესში, შერწყმისა და გაყოფის ტრანზაქციებში. 2000 წლიდან კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მაკროეკონომიკური სექტორებისა და კორპორაციული ანალიტიკური კვლევები. კომპანია უზრუნველყოფს გარიგებების დადებას წამყვან საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზრებზე. 2013 წლიდან კომპანია ფლობს ფილიალს აზერბაიჯანში, რომლის საქმიანობა შეჩერებულია 2015 წლის 28 ოქტომბრიდან. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი №79.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშიალ"-ის სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „ბენკ ოფ ჯორჯია გრუპ" PLC.

# 2. მომზადების საფუძველი

### შესავალი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება") მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა და საინვესტიციო ქონებისა.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

### ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

როგორც ეს 29-ე შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2014 წლის 10 სექტემბრის განკარგულება №820

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

**შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ინვესტიციებს შემდეგ შვილობილ კომპანიაში და მეკავშირე კომპანიებში:

| შვილობილი კომპანია | ხმის უფლებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის % | | დაფუძნების ქვეყანა | რეგისტრაციის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | | |
| Galt and Taggart Holding Limited | 100% | 100% | ნიქოზია, კვიპროსის რესპუბლიკა | 3 ივლისი 2006 |

**ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში**

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ერთეულებთან გარიგებებით შეძენილი კომპანიების ჩათვლით, ფასდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით.

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველი**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან კომპანია აკმაყოფილებს ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების" შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- კომპანია თვითონ წარმოადგენს სხვა კომპანიის სრულ საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიას;
- კომპანიის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე;
- კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რაიმე სახის საჯარო ფინანსური ინსტრუმენტების ემისიის მიზნებისათვის; და
- კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია.

**ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში**

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს ერთპიროვნულად ან ერთობლივად. ვინაიდან კომპანია არ ახორციელებს მეკავშირე საწარმოების კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში არ აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და აღირიცხება გაუფასურების ზარალით შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით.

| მეკავშირე კომპანიები | ხმის უფლებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის % | | დაფუძნების ქვეყანა | რეგისტრაციის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 | | |
| სს თბილისის საფონდო ბირჟა | 24% | 21.59% | თბილისი, საქართველო | 7 მაისი 2015 |
| სს საქართველოს საფონდო ბირჟა | 15,33% | 15,33% | თბილისი, საქართველო | 12 იანვარი 1999 |

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

### ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

### რეალური ღირებულების შეფასება

ყოველ საანგარიშგებო თარიღზე კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები და არაფინანსური აქტივები, როგორიცაა საინვესტიციო ქონება.

*რეალური ღირებულება* არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

რეალური ღირებულება იყოფა რეალური ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა რეალური ღირებულებით შეფასების პროცესში, აღნიშნული კატეგორიებია:

- დონე 1 – კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2 – მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია ყველა იმ ინფორმაციაზე დაკვირვება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგისტრირებულ რეალურ ღირებულებაზე;
- დონე 3 – შეფასების მეთოდი, რომლის ყველაზე ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შესაფასებლად, არ არის დაკვირვებადი.

### ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

#### *ფინანსური აქტივი*

ყველა ფინანსური აქტივი, წილობრივი ინსტრუმენტებისა და, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა, ფასდება კომპანიის მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტებზე სახელშეკრულებო ფულად ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

- რეალური ღირებულებით, მოგებასა და ზარალში ასახვით;
-რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავალო ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებასა და ზარალში გადატანით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, წილობრივი ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებასა და ზარალში გადატანის გარეშე;
- ამორტიზებული ღირებულებით.

*ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება*

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით. ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი.

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები*

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს გაცემულ სესხებს და დებიტორულ დავალიანებებს თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი პირობა:
- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე.

*რეალური ღირებულებით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით*

კომპანია სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აფასებს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:
- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით და ამ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

*რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებასა და ზარალში ასახვით*

ისეთი ბიზნესმოდელით მართული ფინანსური აქტივები, რომლის მიზანი არც ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობაა და არც ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობა, ან რომელთა სახელშეკრულებო პირობები ვერ აკმაყოფილებს SPPI ტესტს, ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებასა და ზარალში ასახვით.

*ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. ისეთ ფინანსურ აქტივებზე, რომლებზეც საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

დებიტორული დავალიანებებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

**ფინანსური ვალდებულებები**

*თავდაპირველი აღიარება*

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც:

- ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, ან
- ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

*შემდგომი აღრიცხვა*

*სესხები*

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

*სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, ხოლო სხვა შემთხვევაში კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

*აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

**მოგების გადასახადი**

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გამიზნულია საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის და რომელსაც კომპანია არ იყენებს.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, შემდეგში ხელახლა ფასდება რეალური ღირებულებით და ასახავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბაზრო პირობებს. კომპანიის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროების საფუძველზე, მათ შორის იმ დამოუკიდებელ შემფასებელთა ანგარიშების საფუძველზე, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და რომლებსაც აქვთ მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლის ნაწილში. საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებაში ცვლილებებიდან მიღებული მოგება და ზარალი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული სარგებელი.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაედინება კომპანიაში და ხარჯი შეფასდება საიმედოდ. ყველა სხვა რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯი ტარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისთანავე. თუ მესაკუთრე საინვესტიციო ქონების გამოყენებას იწყებს საკუთარი მიზნებისთვის, მაშინ ხდება ქონების რეკლასიფიცირება ძირითად საშუალებად და მისი რეალური ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის იქცევა მის თვითღირებულებად ახალი კლასიფიკაციის ქვეშ.

**ძირითადი საშუალებები**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ხოლო აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

| ძირითადი საშუალებები | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| კომპიუტერული ტექნიკა | 5 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 |

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება იჯარის ვადით.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში.

**არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის 5-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებები

კომპანიის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელების ჩათვლით) იღებენ ანაზღაურებას აქციებზე დაფუძნებული გარიგებებიდან, როდესაც თანამშრომლები ეწევიან მომსახურებას წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ (წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები).

*წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები*

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებების ფასი აღრიცხულია რეალური ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი მიღება.

წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების ფასი აღრიცხულია შესაბამისი კაპიტალის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა/ვალდებულებების შესრულება. ეს პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამშრომელი მთლიანად უფლებამოსილია მიიღოს პრემია ("ძალაში შესვლის თარიღი"). ძალაში შესვლის თარიღისათვის, ყოველ საბალანსო წელს აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების მთლიანი ხარჯი დამოკიდებულია ძალაში ყოფნის მთლიანი პერიოდის გასვლასა და წილობრივი ინსტუმენტების რაოდენობის შეფასებაზე. მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული ხარჯი თუ შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი ხარჯის ცვლილებას პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე.

ძალაში შესვლამდე არ ხდება პრემიის ხარჯის აღიარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებამოსილების მინიჭება დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე, გათვალისწინებით იმისა, რომ ყველა დანარჩენი პირობა შესრულებულია. ეს შემთხვევა მიიჩნევა უფლებამოსილების მინიჭებად, მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საბაზრო პირობები.

როდესაც წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული პრემიების პირობები იცვლება, მინიმალური ხარჯის აღიარება ხდება იმ სახით, თითქოს არ მომხდარიყოს პირობების ცვლილება. გარდა ამისა, ხარჯის აღიარება ხდება ნებისმიერი კორექტირებისათვის, რომელიც ზრდის აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებების მთლიან რეალურ ღირებულებას ან სხვაგვარად წარმოადგენს თანამშრომლის სარგებელს მოდიფიკაციის თარიღით.

როდესაც ხდება წილობრივი ინსტრუმენტებით გაცემული პრემიის გაუქმება, ის ძალაში შესულად მიიჩნევა გაუქმების თარიღით, ხოლო ნებისმიერი პრემიის ხარჯის იმ ნაწილის აღიარება, რომლის აღიარებაც ჯერ არ მომხდარა ხდება მყისიერად. თუმცა, თუ გაუქმებულ პრემიას ჩაენაცვლება ახალი, რომელიც გადაცემის თარიღისათვის აღწერილია, როგორც ჩანაცვლების პრემია, ძველი და ახალი პრემიები მოიაზრება თავდაპირველი პრემიის კორექტირებებად, როგორც აღწერილია წინა აბზაცში.

### კაპიტალი

*სააქციო და საემისიო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი

*სხვა რეზერვები*

სხვა რეზერვები წარმოადგენს კომპანიის სხვა სრული შემოსავლის შედეგებს. მეტი თვალსაჩინოებისთვის კომპანიამ მოახდინა სხვა რეზერვებისა და დაგროვილი ზარალის გამიჯვნა.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**პირობითი ვალდებულებები და აქტივები**

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება**

შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება:

*შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან*

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

*პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა და შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

*შემოსავალი დივიდენდებიდან*

შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება საოპერაციო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება/ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგება/ზარალში.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| 1 USD/GEL | 2.8677 | 2.6766 |
| 1 EUR/GEL | 3.2095 | 3.0701 |
| 1 CHF/GEL | 2.9488 | 2.7268 |
| 1 CAD/GEL | 2.1939 | 1.9674 |
| 1 GBP/GEL | 3.7593 | 3.3955 |

საშუალო საკურსო განაკვეთები აღნიშნულ წლებში არის შემდეგი:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| საშუალო USD/GEL | 2.819 | 2.535 |
| საშუალო EUR/GEL | 3.155 | 2.991 |
| საშუალო CHF/GEL | 2.837 | 2.591 |
| საშუალო CAD/GEL | 2.125 | 1.956 |
| საშუალო GBP/GEL | 3.596 | 3.381 |

## 4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღაალტრული აღრიცხვის საერთაშრისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

**ახალი სტანდარტების გამოყენება**

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

***ფასს 16 იჯარა***

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა" და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას", იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება" და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას".

## 4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)

**იჯარა**

*კომპანია როგორც მოიჯარე*

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციურ კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოეყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 3.68%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

***ბას 12 - მოგებიდან გადასახადები***

ბას 12–ის ცვლილებები აზუსტებს, რომ დივიდენდების მოგების გადასახადის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების ფლობელებზე მოგებების განაწილებას მათ ფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით თუ სად აღიარა კომპანიამ წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

## 4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)

ბას 12-ის ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია უფრო ადრე გამოყენება. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგების ცვლილება, რომელიც აღიარებულია წარმოდგენილი ადრინდელი შესადარის პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ.

*ბას 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში*

დაზუსტება, რომ ინვესტიციის ობიექტების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით მოხდება თითოეული ინვესტიციის მიხედვით. ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- კომპანიას, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო კომპანია, მაგრამ ფლობს წილს ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს რეალური ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება:
    - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია;
    - ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და
    - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

## 5. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება

| | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | აქტივის გამოყენების უფლება (ოფისი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **საბალანსო ღირებულება** | | | | | |
| **31 დეკემბერი 2017** | **216,128** | **197,261** | **146,287** | **-** | **559,676** |
| შეძენა | 25,621 | 2,200 | 56,732 | - | **84,553** |
| ჩამოწერა | (7,290) | - | - | - | **(7,290)** |
| **31 დეკემბერი 2018** | **234,459** | **199,461** | **203,019** | **-** | **636,939** |
| ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი 2019 წლის 1 იანვრისთვის | - | - | - | 273,214 | **273,214** |
| შეძენა | 42,249 | 13,553 | 59,422 | - | **115,224** |
| **31 დეკემბერი 2019** | **276,708** | **213,014** | **262,441** | **273,214** | **1,025,377** |
| | | | | | |
| **ცვეთა და გაუფასურება** | | | | | |
| **31 დეკემბერი 2017** | **89,832** | **79,039** | **82,298** | **-** | **251,169** |
| ცვეთის ხარჯი | 28,782 | 33,769 | 37,453 | - | **100,004** |
| ჩამოწერილი ქონების ცვეთა | (3,547) | - | - | - | **(3,547)** |
| **31 დეკემბერი 2018** | **115,067** | **112,808** | **119,751** | **-** | **347,626** |
| ცვეთის ხარჯი | 48,884 | 36,042 | 51,951 | 163,569 | **136,876** |
| **31 დეკემბერი 2019** | **163,951** | **148,850** | **171,702** | **163,569** | **484,502** |
| | | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | |
| **31 დეკემბერი 2018** | **119,392** | **86,653** | **83,268** | **-** | **289,313** |
| **31 დეკემბერი 2019** | **112,757** | **64,164** | **90,739** | **109,645** | **377,305** |

## 5. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული იპოთეკით ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

2016 წლის 15 იანვარს კომპანიამ გააფორმა ერთწლიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება სს ,,საქართველოს ბანკთან", სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო საოფისე ფართი (ჯამური ფართი 657.27 კვ.მ), სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. აღნიშნული ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და განახლებადია მომავალ პერიოდებშიც. ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 5,258 აშშ დოლარს ექვივალენტს ლარში.

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და ცვეთის ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 109,645 ლარს და 163,569 ლარს. საიჯარო გადახდების დისკონტირების გასაანგარიშებლად გამოყენებულია კომპანიის/ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი (3.68%), გამომდინარე იქედან, რომ კომპანიას იჯარის ვადიანობის მსგავსი შესადარისი სესხი არ ჰქონდა და დაფინანსების წყარო ჯგუფის რესურსებთან მჭიდრო კავშირშია. საიჯარო ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 120,886 ლარს და 6,737 ლარს.

## 6. საინვესტიციო ქონება

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით** | **1,362,000** | **1,362,000** |
| რეალური ღირებულების გადაფასებიდან მიღებული მოგება | 143,000 | - |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,505,000** | **1,362,000** |

საინვესტიციო ქონებება წარმოადგენს საოფისე ფართს, როლის მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. №7, თბილისი, საქართველო. საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით. გადაფასება ხდება იმ შემთხვევაში თუ არსებობს ფაქტორები რომლებიც მიანიშნებს რომ ბოლო შეფასების თარიღის შემდეგ ბაზარზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ვინაიდან ბოლო შეფასების შემდეგ უძრავი ქონების ბაზარზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, 2019 წელს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებლი, შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის" (სერთიფიკატის N A-0189), და საინვესტიციო ქონება შეაფასდა საბაზრო მეთოდით, რომელიც მიეკუთვნება რეალური ღირებულების შეფასების მე-3 დონეს.

Colliers Internatinal-ის საოფისე ფართების ფასების ბაზრის კვლევის მიხედვით 2018 წელს არ ყოფილა საოფისე ფართების ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, შესაბამისად არ განხორციელდა ქონების გადაფასება.

## 7. არამატერიალური აქტივები

| ისტორიული ღირებულება | ლიცენზიები და პატენტები | პროგრამული უზრუნველყოფა | სულ |
|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2017** | **239,377** | **47,657** | **287,034** |
| შეძენა | 12,334 | 275,483 | **287,817** |
| ჩამოწერა | (135) | - | **(135)** |
| რეკლასიფიკაცია | 14,195 | (14,195) | **-** |
| **31 დეკემბერი 2018** | **265,771** | **308,945** | **574,716** |
| შეძენა | - | 139,870 | 139,870 |
| ჩამოწერა | (4,496) | **-** | (4,496) |
| **31 დეკემბერი 2019** | **261,275** | **448,815** | **710,090** |

## 7. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

| ამორტიზაცია | ლიცენზიები და პატენტები | პროგრამული უზრუნველყოფა | სულ |
|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2017** | **114,109** | **25,287** | **139,396** |
| ამორტიზაციის ხარჯი | 2,439 | 2,927 | **5,366** |
| ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია | - | - | **-** |
| **31 დეკემბერი 2018** | **116,548** | **28,214** | **144,762** |
| ამორტიზაციის ხარჯი | 27,662 | 25,052 | **52,714** |
| ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია | - | - | **-** |
| **31 დეკემბერი 2019** | **144,210** | **53,266** | **197,476** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | |
| **31 დეკემბერი 2018** | **149,223** | **280,731** | **429,954** |
| **31 დეკემბერი 2019** | **117,065** | **395,549** | **512,614** |

კომპანია 2018 წლის განმავლობაში აქტიურად ნერგავდა ახალ სააღრიცხვო სისტემა Microsoft Dynamics AX 2012, რომელმაც სატესტო რეჟიმში მუშაობა დაიწყო 2019 წლის დასაწყისიდან და იგეგმება მთლიანად ახალ სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლა.

## 8. ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| **ბალანსი** | | |
| გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედ (კვიპროსი) | 1,022,000 | 2,623,611 |
| **სულ ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში** | **1,022,000** | **2,623,611** |
| ღირებულების ცვლილება არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპნიებში განხორციელებულ ინვესტიციებზე | 59,000 | (1,601,611) |
| **ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,081,000** | **1,022,000** |

შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმითედი" საიდენტიფიკაციო ნომრით 179498 დარეგისტრირდა 2006 წლის 3 ივლისს კვიპროსზე. კომპანიის იურიდიული მისამართია - მაკარიუს III 58, IRIS TOWER, მე-7 სართული, ოფისი 702, P.C. 1075, ნიქოზია, კვიპროსი. შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ"-ში ინვესტირება არ წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობას და იგი არ ახდენს ზეგავლენას კომპანიის ძირითად საქმიანობაზე. ამასთან, ეს ინვესტიცია დაკავშირებულია მშობელი კომპანიის სტრატეგიულ ბიზნეს ოპერაციებთან. სს „გალტ ენდ თაგარტი"-ს ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირდება მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან. მშობელმა კომპანიამ შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში" განახორციელა ინვესტიცია სს „გალტ ენდ თაგარტის" მეშვეობით. ასეთი ინვესტიცია შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში" ბოლოს 2015 წლის აპრილში განხორციელდა და 22.3 მლნ. ლარი შეადგინა.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, 2019 წლის ბოლოს, შვილობილ კომპანიაში ინვესტიციაზე ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით არ გამოვლინდა ინვესტიციის გაუფასურების ინდიკატორი. ქვემოთ მოცემულია არაკონსოლიდირებული შვილობილი კომპანიის არა-აუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია:

| ქართულ ლარში | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| სულ აქტივები | 1,081,000 | 1,022,461 |
| სულ ვალდებულებები | - | - |
| სულ კაპიტალი | 1,081,000 | 1,022,461 |

## 9. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| თბილისის საფონდო ბირჟა (2019: 24% წილი კაპიტალში, 2018: 21.59%) | 1,151,678 | 818,342 |
| საქართველოს საფონდო ბირჟა (15.33% წილი კაპიტალში 2018 და 2019 წელს) | 110,250 | 110,250 |
| **სულ ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში** | **1,261,928** | **928,592** |

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა სს ,,თბილისის საფონდო ბირჟის" ჩვეულებრივი აქციების ახალი ემისიის ფარგლებში 24,969 (ოცდაოთხი ათას ცხრაას სამოცდაცხრა) ცალი აქციის შესყიდვა 333,336 ლარად, თითოეული ღირებულებით 13.35 ლარის ოდენობით.

კომპანიის მიერ, 2019 წლის ბოლოს, მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებზე ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით არ გამოვლინდა ინვესტიციების გაუფასურების ინდიკატორები. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში არ აღრიცხავს კაპიტალის მეთოდით, რადგან ისინი აღირიცხება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (იხილეთ მე-2 და მე-3 შენიშვნები).

ქვემოთ მოცემულია მეკავშირე საწარმოების 2019 წლის არააუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია:

| 31 დეკემბერი 2019 | თბილისის საფონდო ბირჟა | საქართველოს საფონდო ბირჟა |
|---|---|---|
| სულ აქტივები | 3,501,312 | 567,197 |
| სულ ვალდებულებები | 15 | 142,104 |
| სულ კაპიტალი | 3,501,297 | 425,093 |

## 10. ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით** | 535,320 | - |
| შეძენა წლის განმავლობაში | - | 535,320 |
| გადაფასების ეფექტი | 42,840 | - |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით** | **578,160** | **535,320** |

კომპანია ფლობს 4 ცალ პრივილეგირებულ აქციას, რაც აღიარებულია როგორც ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში.

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასევე მოიცავს არაკონსოლიდირებულ შვილობილი კომპანიებში არსებული ინვესტიციის ღირებულების ცვლილებას. აღნიშნული ცვლილებები აკუმულირდება სხვა რეზერვების ანგარიშზე, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| 1 იანვრის მდგომარეობით | (1,601,611) | - |
| ***ცვლილება წლის განმავლობაში, მათ შორის:*** | **101,840** | **(1,601,611)** |
| არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპნიებში არსებულ ინვესტიციები | 59,000 | (1,601,611) |
| სხვა სრულ შემოსავალში ასახული სხვა ფინანსური აქტივები | 42,840 | - |
| **სხვა რეზერვების ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,499,771)** | **(1,601,611)** |

## 11. ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება / ზარალში

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები რეალური ღირებულებით მოგება / ზარალში | 85,134 | 112,479 |
| საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტები | 7,087,443 | 4,364,319 |
| **სულ ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება / ზარალში** | **7,172,577** | **4,476,798** |

საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტების ბალანსში გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტებზე დარიცხული მისაღები კუპონი.

## 12. გაცემული სესხები

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სესხი | - | 8,378,677 |
| გრძელვადიანი სესხი | 473,014 | - |
| **სულ გაცემული სესხები** | **473,014** | **8,378,677** |

2019 წლის 20 ივნისს კომპანიამ გააფორმა მეზანინ ტიპის სასესხო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის პირველი ტრანშის მიხედვით გასცა 150,000 აშშ დოლარი. სესხს ერიცხება წლიური 18%, რომელიც კაპიტალიზდება ყოველთვიურად. სასესხო კრედიტი (როგორც პირველი, ისე მეორე ტრანში (არაუმეტეს 700,000 აშშ დოლარი) და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი კომპანიისთვის სრულად გადახდილი უნდა იქნეს პირველი ტრანშის ჩარიცხვის თარიღიდან მე-5 წლის ბოლო დღეს.

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მსესხებლის შემდეგი ვალდებულებები და უზრუნველყოფები:

- სესხის პირველი ტრანშით შესაძენი/ასაშენებელი უძრავი და მოძრავი აქტივების დატვირთვა გირავნობითა და იპოთეკით სს ,,გალტ ენდ თაგარტის" სასარგებლოდ. ამგვარი გირავნობა და იპოთეკა იქნება ყოველთვის და უნდა იყოს პირველადი და უპირატესი სხვა პირის მიმართ არსებული უზრუნველყოფის ნებისმიერი სახის ღონისძიების მიმართ;
- მსესხებლის 100%-იანი წილის პირველადი გირავნობა და დამფუძნებლების სოლიდარული თავდებობა;
- არაუგვიანეს ყოველი მომდევნო კალენდარული თვის 25 რიცხვისა, ფინანსური ინფორმაციის მიწოდება (საერთო აქტივები/ქონება, ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება);
- ყოველი ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის და ყოველწლიური აუდირებული ანგარიშგების მიწოდება;
- ყოველი კალენდარული წლის არაუგვიანეს 1 დეკემბრისა კომპანიისთვის მისაღები ფორმით მომდევნო წლის წლიური ბიუჯეტი და ბიზნეს გეგმის მიწოდება.

## 13. წინასწარ გადახდილი თანხები

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| წინასწარ გადახდილი ხელფასი | 3,125 | 11,559 |
| წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯი | 985,078 | 642,793 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 7,246 | 2,136 |
| სხვა წინასწარგადახდები | 50,243 | 83,640 |
| **სულ წინასწარ გადახდილი თანხები** | **1,045,692** | **740,128** |

სხვა წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯი შეადგენს BOGG (continuation of BGEO)-ს აქციებს, რომლებიც გადაცემულია თანამშრომლებისთვის, პირობის თანახმად თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში აქციები ბრუნდება კომპანიის საკუთრებაში. ბონუსის გაცემის მომენტში კომპანია აღიარებს ვალდებულებას თანამშრომლის მიმართ და აღრიცხავს როგორც წინასწარ გადახდილ ბონუსს, წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯად აღიარება ხდება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

## 14. დებიტორული დავალიანება

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| მოთხოვნები კლიენტების წინაშე | 301,870 | 152,339 |
| მოთხოვნები გარიგებებიდან და მომსახურებიდან | 820,773 | 340,759 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 47,833 | 81,298 |
| გაუფასურების რეზერვი | (84,036) | - |
| **სულ დებიტორული დავალიანება** | **1,086,440** | **574,396** |

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის რეალურ ღირებულებას შორის.

საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

## 15. ფული და ფულის ეკვივალენტები

| მოიცავს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს სხვადასხვა ვალუტაში: | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ქართული ლარი (GEL) | 370,724 | 105,037 |
| აშშ დოლარი (USD) | 701,135 | 362,188 |
| ევრო (EUR) | 26,140 | 12,170 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP) | 2,397 | 48,204 |
| შვეიცარული ფრანკი (CHF) | 2,612 | 1,320 |
| სხვა ვალუტა | 7,793 | 1,068 |
| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **1,110,801** | **529,987** |

## 16. კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები

კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კლიენტების თანხებს, რომლებიც განთავსებულია კომპანიის ანგარიშზე და გამოიყენება კლიენტების დავალებით ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის.

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ქართული ლარი (GEL) | 9,095,717 | 5,823,143 |
| აშშ დოლარი (USD) | 15,292,885 | 3,655,275 |
| ევრო (EUR) | 1,233,451 | 2,520,454 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP) | 4,072,617 | 2,686,448 |
| შვეიცარული ფრანკი (CHF) | 401,828 | 196,328 |
| სხვა ვალუტა | 22,239 | 3,232 |
| **სულ კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები** | **30,118,737** | **14,884,880** |

ეს თანხები ასევე აღიარებულია ვალდებულებად და ასახულია კლიენტების მიმართ კრედიტორულ დავალიანებაშიც.

## 17. სააქციო კაპიტალი

| თითოეული ჩვეულებრივი აქცია ნომინალური ღირებულებით ერთი (1) ლარი | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| გამოსაშვებად ნებადართული კაპიტალი | 20,000,000 | 20,000,000 |
| შეუვსებელი სააქციო კაპიტალი | (13,863,863) | (9,235,764) |
| **გამოშვებული და სრულად გადახდილი** | **6,136,137** | **10,764,236** |

კომპანიის აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა 4,628,099 ცალი 1 ლარის ღირებულების ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა 8,000,000 ლარად. შესაბამისად, საემისიო კაპიტალი შემცირდა 3,371,901 ლარით.

საკუთარი აქციების გამოსყიდვის შედეგად კომპანიის გაცხადებული სააქციო კაპიტალის რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შეადგენს 6,136,137 ცალ აქციას (2018: 10,764,236 ცალი) ხოლო შეუვსებელი სააქციო კაპიტალის აქციათა რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 13,863,863 ცალს (2018: 9,235,764 ცალს).

საემისიო კაპიტალი მოიცავს კომპანიის აქციონერების მიერ აქციათა ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით კაპიტალში შეტანილ თანხებს, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 21,587,636 ლარს (2018: 24,959,537 ლარი).

## 18. გადავადებული შემოსავალი

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| საკონტრაქტო ღირებულება | 282,965 | 2,110,524 |
| პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული შემოსავალი | (222,989) | (1,827,559) |
| **სულ გადავადებული შემოსავალი** | **59,976** | **282,965** |

## 19. მიღებული სესხები

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| გრძელვადიანი სესხები | 723,874 | - |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | - | 663,797 |
| მოკლევადიანი სესხები | 1,677,627 | - |
| საპროცენტო ვალდებულება | 12,834 | 10,821 |
| **სულ მიღებული სესხები** | **2,414,335** | **674,618** |

გრძელვადიანი საბანკო სესხი (248,000 აშშ დოლარი) მიღებულია 2019 წლის 7 ოქტომბერს 2022 წლის 7 ოქტომბრამდე. კრედიტის ათვისებულ ნაწილს საპროცენტო სარგებელი ერიცხება წლიური 7% კრედიტის გაცემიდან 1 წლის განვალობაში, ხოლო დარჩენილ პერიოდში 5% +6 თვის აშშ დოლარის LIBOR. კომპანია სესხის პროცენტს იხდის 6 თვეში ერთხელ, ხოლო ძირის დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულების ვადის ბოლოს.

კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული აქტივი, კერძოდ: სს ,,საქართველოს კაპიტალი"-ს (ს/კ 404498913) მიერ გამოშვებული 320 ცალი ობლიგაცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1,000 აშშ დოლარი.

## 20. კრედიტორული დავალიანება

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| კრედიტორული დავალიანება მეკავშირე საწარმოების მიმართ | 688,737 | 314,761 |
| გადასახდელი ფულადი ბონუსები | 1,173,365 | 984,000 |
| სხვა დავალიანება | 23,904 | 22,847 |
| **სულ კრედიტორული დავალიანება** | **1,886,006** | **1,321,608** |

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. გარიგებებისა და მომსახურეობისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად კლიენტის მიერ გამომუშავებულ თანხებს რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

## 21. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| საბროკერო საქმიანობიდან | 1,255,930 | 1,291,818 |
| აქციების შენახვის საკომისიო | 442,292 | 370,598 |
| შემოსავლები სავაჭრო პლატფორმიდან | 1,868,456 | 1,065,231 |
| სხვა საკომისიო შემოსავალი | 80,191 | 6,413 |
| **სულ საკომისიო შემოსავალი** | **3,646,869** | **2,734,060** |
| საკომისიო ხარჯი | (2,650,178) | (2,826,990) |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ზარალი)** | **996,691** | **(92,930)** |

კომპანია იყენებს საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმას ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობისთვის, აღნიშნული სერვისის საკომისიომ 2019 წელს შეადგინა 1,228,231 ლარი (2018: 1,927,981 ლარი). კასტოდიანის მომსახურების საკომისიომ 2019 წელს შეადგინა 341,519 ლარი (2018: 316,322 ლარი), ხოლო არარეზიდენტი საბროკეროს მომსახურების საკომისიომ 2019 წელს შეადგინა 358,970 ლარი (2018: 414,214 ლარი).

## 22. შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| შემოსავალი ბონდების განთავსებიდან | 2,989,594 | 982,822 |
| ფინანსური შემოსავალი | 935,111 | 2,548,730 |
| **სულ საინვესტიციო საბანკო შემოსავალი** | **3,924,704** | **3,531,552** |
| შემოსავალი კვლევებიდან | 194,418 | 90,166 |
| სხვა შემოსავალი | 184,885 | 56,782 |
| **სულ შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან** | **4,304,007** | **3,678,500** |

ფინანსური შემოსავალი გარდა განთავსების საკომისიოსი მოიცავს რეფინანსირების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს, რაც 2019 წელს შეადგენს 222,989 ლარს (2018: 1,827,559 ლარს).

## 23. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| წლიური ბონუსი | 1,973,727 | 1,730,394 |
| ხელფასები (გარდა წლიური ბონუსებისა) | 1,781,413 | 1,546,890 |
| ცვეთა და ამორტიზაცია* | 353,160 | 105,370 |
| გაყიდვები და მარკეტინგი | 123,051 | 67,597 |
| საეჭვო მოთხოვნები | 84,036 | - |
| საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება | 41,616 | 106,314 |
| მივლინება | 29,815 | 33,662 |
| იჯარა და კომუნალური გადასახადები* | 26,763 | 182,566 |
| წარმომადგენლობის ხარჯები | 22,065 | 33,297 |
| გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა | 20,590 | 19,848 |
| დაზღვევის ხარჯი | 7,481 | - |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 150,992 | 129,635 |
| **სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **4,614,709** | **3,955,573** |

* როგორც შენიშვნა 4-ში არის ნახსენები, 2019 წლის 1-ლი აინვარიდან კომპანიამ მიიღო ფასს 16 და აღიარა აქტივის გამოყენების უფლება, რითაც აიხსნება გადახრა იჯარა და კომუნალურ გადასახადებში.

## 24. წმინდა მოგება / (ზარალი) ფინანსური აქტივებიდან რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ვაჭრობიდან მიღებული წმინდა ზარალი | (92,407) | (71,354) |
| გადაფასებიდან მიღებული მოგება / (ზარალი) | (273,099) | 115,827 |
| **წმინდა მოგება / (ზარალი) ფინანსური აქტივებიდან რეალური ღირებულებით მოგება/ზადალში** | **(365,506)** | **44,473** |

## 25. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| კომერციული სესხები | 240,639 | 1,434,085 |
| პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები | 1,121,873 | 681,530 |
| საბანკო დეპოზიტები | 348,846 | 387,173 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **1,711,358** | **2,502,788** |
| სულ საპროცენტო ხარჯი | (121,104) | (57,362) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **1,590,254** | **2,445,426** |

კომპანიის საპროცენტო ხარჯებმა კომერციული ბანკებიდან მიღებულ სესხებზე 2019 წელს შეადგინა 114,376 ლარი (2018: 55,369).

## 26. წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| მოგება კურსთაშორის სხვაობიდან | 12,251,100 | 8,330,420 |
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | (11,701,220) | (7,974,156) |
| **სულ მოგება კურსთაშორის სხვაობიდან** | **549,880** | **356,265** |

## 27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

სს „ბიჯი ფაინანშიალ", სს „ბიჯეო ჯგუფის" წევრი, ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების 100%ს. სს „საქართველოს ბანკი" ფლობს სს „ბიჯეო ჯგუფის" მნიშვნელოვან მაკონტრორებელ ნაწილს. სს „ბიჯეო ჯგუფი" აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირებას, რომელიც საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

**ტრანზაქციები სს „საქართველოს ბანკთნ":**

| ტრანზაქციების მოცულობა | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| საკომისიო შემოსავალი | 29,571 | 8,967 |
| საკომისიო ხარჯი | (528,326) | (326,503) |
| საიჯარო და სხვა საოპერაციო ხარჯი | - | (203,716) |
| საპროცენტო ხარჯი | (2,577) | (2,042) |
| საპროცენტო შემოსავალი | 309,787 | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | (337,150) | - |

**ტრანზაქციები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებთან,:**

| ტრანზაქციების მოცულობა | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| საკომისიო შემოსავალი | 251,972 | 82,365 |
| საკომისიო ხარჯები | (3,702) | (1,400) |
| საპროცენტო ხარჯი | - | (1,627) |
| დაზღვევის ხარჯი | - | (17,123) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 364,440 | 398,722 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | - | (370,605) |

**ნაშთი სს „საქართველოს ბანკთნ":**

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 21,380,256 | 10,098,204 |
| დებიტორული დავალიანება | 5 | 3,329 |
| კრედიტორული დავალიანება | (39,621) | (120,135) |

**ნაშთი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანიზაციებთან:**

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები | 1,267,964 | 2,186,575 |
| დებიტორული დავალიანება | 338,598 | - |
| კრედიტორული დავალიანება | (337,354) | (837) |

**ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:**

| ხელმძღვანელობის ხელფასები: | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ხელფასები, ბონუსები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი: | 716,564 | 739,079 |

## 28. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი**: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- **ლიკვიდურობის რისკი**: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი**: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალური ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
    - *საპროცენტო რისკი*
    - *სავალუტო რისკი*
    - *ფასიანი ქაღალდების რისკი*

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არსებობს რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

| ფინანსური აქტივები | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 1,110,801 | 529,987 |
| კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები | 30,118,737 | 14,884,880 |
| დებიტორული დავალიანება | 1,086,440 | 574,396 |
| გაცემული სესხები | 473,014 | 8,472,468 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | 578,160 | 535,320 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში | 7,172,577 | 4,476,798 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **40,539,729** | **29,473,849** |

| ფინანსური ვალდებულებები | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| კრედიტორული დავალიანება | 1,833,616 | 1,321,608 |
| ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 30,118,742 | 14,884,872 |
| მოკლევადიანი სესხები | 1,690,461 | 674,618 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | - | 3,171 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **33,642,819** | **16,884,269** |

| | |
|---|---|
| **აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა** | **6,896,910** | **12,589,580** |

## 28. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს რეალური ღირებულებით აღიარებული აქტივების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია რეალური ღირებულება:

| | 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|
| | დონე 1 | დონე 2 | დონე 3 |
| **აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით** | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 1,110,801 | - | - |
| კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები | 30,118,737 | - | - |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში | 7,172,577 | - | - |
| გაცემული სესხები | - | - | 473,014 |
| დებიტორული დავალიანება | - | - | 1,086,440 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | 578,160 | - | - |
| საინვესტიციო ქონება | - | - | 1,505,000 |
| **სულ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **38,980,275** | **-** | **3,064,454** |

| | 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|
| | დონე 1 | დონე 2 | დონე 3 |
| **აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით** | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 529,987 | - | - |
| კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები | 14,884,880 | - | - |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში | 4,476,798 | - | - |
| გაცემული სესხები | - | - | 8,472,468 |
| დებიტორული დავალიანება | - | - | 709,655 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | 535,320 | - | - |
| საინვესტიციო ქონება | - | - | 1,362,000 |
| **სულ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **20,426,985** | **-** | **10,544,123** |

კომპანიას არ აქვს ფინანსური ვალდებულება, რომელიც კლასიფიცირდება კატეგორიაში „რეალური ღირებულებით მოგებისა ან ზარალის ასახვით". წარმოდგენილი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტის ფულად სახსრებს იხ შენიშვნა 16.

**საკრედიტო რისკი**

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 15 | 1,110,801 | 529,987 |
| კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები | 16 | 30,118,737 | 14,884,880 |
| გაცემული სესხები | 12 | 473,014 | 8,472,468 |
| დებიტორული დავალიანება | 14 | 1,086,440 | 574,396 |
| **სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი** | | **32,788,992** | **24,461,731** |

ფულისა და ფულის ექვივალენტების ბალანსი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადიანობით. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. ყველა დებიტორული დავალიანება, რომელიც ვადაგადაცილებულია ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის შესაბამისად არის გაუფასურებული.

## 28. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში და ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში მოცემულია წილობრივი ინსტრუმენტის სახით და ამგვარად, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

**ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით. ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

*31 დეკემბერი 2019*

| | 1 წლამდე | 1 დან 5 წლამდე | 5 წელს ზემოთ | სულ |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 1,110,801 | - | - | 1,110,801 |
| კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები | 30,118,737 | - | - | 30,118,737 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში | 7,172,577 | - | - | 7,172,577 |
| გაცემული სესხები | - | 473,014 | - | 473,014 |
| დებიტორული დავალიანება | 1,086,440 | - | - | 1,086,440 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | - | 578,160 | - | 578,160 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **39,488,555** | **1,051,174** | **-** | **40,539,729** |
| მიღებული სესხები | 1,690,461 | 723,874 | - | 2,414,335 |
| ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 30,118,737 | - | - | 30,118,737 |
| კრედიტორული დავალიანება | 1,833,616 | - | - | 1,833,616 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **33,642,814** | **723,874** | **-** | **34,366,688** |
| **ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია** | **5,845,741** | **327,300** | **-** | **6,173,041** |

*31 დეკემბერი 2018*

| | 1 წლამდე | 1 დან 5 წლამდე | 5 წელს ზემოთ | სულ |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 529,987 | - | - | 529,987 |
| კლიენტების ფული და ფულის ექვივალენტები | 14,884,880 | - | - | 14,884,880 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში | 4,476,798 | - | - | 4,476,798 |
| გაცემული სესხები | 8,472,468 | - | - | 8,472,468 |
| დებიტორული დავალიანება | 574,396 | - | - | 574,396 |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | - | 535,320 | - | 535,320 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **28,938,529** | **535,320** | **-** | **29,473,849** |
| მიღებული სესხები | 674,618 | - | - | 674,618 |
| ფულადი ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 14,884,872 | | | 14,884,872 |
| კრედიტორული დავალიანება | 1,321,608 | - | - | 1,321,608 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | 3,171 | - | - | 3,171 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **16,884,269** | **-** | **-** | **16,884,269** |
| **ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია** | **12,054,260** | **535,320** | **-** | **12,589,580** |

## 28. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

### საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

### სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებასა და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

*ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით*

ფინანსური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

*31 დეკემბერი 2019*

| ფინანსური აქტივები | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | შვეიცარიული ფრანკი | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები და კლიენტის | 9,466,441 | 15,994,021 | 1,259,591 | 4,075,014 | 404,440 | 30,031 | **31,229,538** |
| ფული და ფულის ექვივალენტები დებიტორული დავალიანება | 283,321 | 294,748 | 16,586 | 487,080 | 1 | 4,705 | **1,086,440** |
| გაცემული სესხები | - | 473,014 | - | - | - | - | **473,014** |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში | - | 578,160 | - | - | - | - | **578,160** |
| ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში | 5,823,881 | 1,301,108 | - | 46,720 | - | 868 | **7,172,577** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **15,573,643** | **18,641,051** | **1,276,051** | **4,608,814** | **404,441** | **35,604** | **40,539,729** |

## 28. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

*31 დეკემბერი 2018*

| ფინანსური აქტივები | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | შვეიცარიული ფრანკი | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები და კლიენტის | 5,928,180 | 4,017,463 | 2,532,624 | 2,734,652 | 197,647 | 4,301 | **15,414,867** |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 239,509 | 338,241 | 65,809 | 63,275 | - | 2,821 | **709,655** |
| დებიტორული დავალიანება | - | 8,472,468 | - | - | - | - | **8,472,468** |
| გაცემული სესხები | - | 535,320 | - | - | - | - | **535,320** |
| ფინანსური აქტივები რეალური | 2,222,129 | 2,196,188 | 36,550 | 21,931 | - | - | **4,476,798** |
| ღირებულებით სხვა | | | | | | | |
| სრულ შემოსავალში | | | | | | | |
| ფინანსური აქტივები | | | | | | | |
| რეალური | | | | | | | |
| ღირებულებით | | | | | | | |
| მოგება/ზარალში | | | | | | | |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **8,389,818** | **15,559,680** | **2,634,983** | **2,819,858** | **197,647** | **7,122** | **29,609,108** |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

| | 31 დეკემბერი 2019 | 31 დეკემბერი 2018 |
|---|---|---|
| ლარი | 2,932,515 | 6,936,884 |
| აშშ დოლარი | 841,755 | 4,410,935 |
| ევრო | 1,505 | 2,607,618 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 455,858 | 2,728,153 |
| სხვა | 16,318 | 200,679 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **4,247,951** | **16,884,269** |

- ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 1,779,930 ლარით (2018: 812,181 ლარით).
- ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2019 წლისათვის 127,467 ლარით (2018: 200,200 ლარით).
- ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 415,296 ლარით (2018: 44,664 ლარით).

## 29. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2020 წლის 10 იანვარს, კომპანიამ დაფარა მიღებული სესხი (შენიშვნა 19) 723,874 ლარის ოდენობით.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე, თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მას მნიშვნელოვანი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია კომპანიაზე.